

ეგროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2001)11

წევრი სახელმწიფოებისადმი, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე

(მინისტრთა კომიტეტის მიერ 2001 წლის 19 სექტემბერს მინისტრების მოადგილეთა 765-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ეგროპის საბჭოს წესდების მე-15.b მუხლის დებულებათა შესაბამისად,

ითვალისწინებს, რომ ეგროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

აცნობიერებს, რომ წევრი სახელმწიფოები საჭიროებენ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით საერთო სისხლის სამართლებრივი ბოლოტიკის განვთარებას, იმ გზების დადგენით, რომლებიც უზრუნველყოფენ უფრო დიდ ეფექტურობას მათ კანონმდებლობაში და ამ სფეროში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას;

ხაზს უსვაგს, რომ ორგანიზებული დანაშაული, მისი ეკონომიკური სიძლიერით, ტრანსნაციონალური კაფშირებითა და უმაღლესი დონის ტექნიკითა და მეთოდებით წარმოადგენს, ძირითად საფრთხეს საზოგადოებისთვის, კანონის უზენაესობისთვის და დემოკრატიისთვის, რაზეც სახელმწიფოებმა უნდა უპასუხონ საერთო სტრატეგით;

ითვალისწინებს, რომ საერთო სტრატეგია საჭიროებს სახელმწიფოთა მზადყოფნას ამ ძალისხმევასთა შეერთებაზე, გამოცდილების გაცვლას და ორგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე საერთო ქმედებების განხორციელებას;

აქვს მხედველობაში, ორგანიზებული დანაშაულის მრავალსახოვანი ბუნება და მისი დამოკიდებულება ეკონომიკურ დანაშაულთან,

განსაკუთრებით კორუფციის, ფულის გათეთრებისა და თაღლითობის ჩათვლით;

დარწმუნებულია, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საერთო სტრატეგია, ასევე მოითხოვს საერთო ქმედებებს კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ და კმაყოფილებით აღნიშნავს ამ სფეროებში მიღწეულ შედეგებს, კერძოდ კი ორგოლუცია (97) 24 მიღებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ოცი სახელმძღვანელო პრინციპის შესახებ, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) დაფუძნების შესახებ შეთანხმებისა და კორუფციაზე სისხლის სამართლებრივი კონვენციის (ETS 173) მიღებას, ისევე როგორც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეკონომიკული კონვენციის (ETS 141) რატიფიცირებათა რაოდენობის ზრდას და ფულის გათეთრების წინააღმდეგ რეჟიმების ურთიერთშემფასებელი მექანიზმის დაარსებას;

იღებს მხედველობაში რეკომენდაციას No. R(97) 13 მოწმეთა დაშინებისა და დაცვის უფლებების შესახებ და რეკომენდაციას No. R(96) 8 ეკონომიკული სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის თაობაზე გარდამავალ დოკუმენტი;

მხედველობაში იღებს, ეგროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებული სხვადასხვა ზომების თაობაზე, რაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არა მხოლოდ სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკისთვის, არამედ წინამდებარე რეკომენდაციის შემუშავებისთვის;

აღნიშნავს, წევრ სახელმწიფოთა გალდებულებას შეინარჩუნონ სწორი ბალასი საზოგადოების ინტერესებს შორის სამართლდაცვისა და პიროვნების უფლებათა დაცვაში, როგორც ეს ჩადებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეკონომიკული კონვენციის დებულებებში და მისი ორგანოების პრეცედენტულ სამართლებრივი დოკუმენტი;

მხედველობაში იღებს, ეგროპის ოუსტიციის მინისტრთა No. 1 ორგოლუციას, რომელიც მიღებულ იქნა 21-ე კონფერენციაზე (ქ. პრაღა, 1997 წლის ივნისი) კორუფციისა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის კავშირების თაობაზე, ისევე როგორც ეკონომიკის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მეთორე სამიტზე მიღებულ დასკვნით

დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმას (ქ. სტრასბურგი, 1997 წლის ოქტომბერი), რომელიც მოუწოდებს ევროპის საბჭოს გადადგას ქმედითი ნაბიჯები კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ;

თვალისწინებს ამ სფეროში გლობალურ და რეგიონალურ ინიციატივებს, როგორიცაა გაერო-ს, FATF-ის, G7-ისა და ევროკავშირის ქმედებები;

ესალმება გაერო-ს კონვენციის მიღებას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 2000 წლის 12-15 დეკემბერს, ქ. ბალერმოში,

წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას:

გადასინჯონ მათი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა, წინამდებარე რეკომენდაციაზე თანდართული პრინციპების შუქზე;

უზრუნველყონ, რომ ეს პრინციპები გავრცელდეს ყველა დაინტერესებულ უწყებაში, როგორიცაა სამართალდამცავი სამსახურები, ადგოკატურები, სასამართლო ორგანოები და კერძო და საჯარო სექტორის ინსტიტუტები, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზებული დანაშაულის პრევენციასა და აღმოფხვრაში.

რეკომენდაცია Rec (2001) 11-ის დანართი

I. დეფინიციები

წინამდებარე რეკომენდაციის მიზნებისთვის:

დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი ნიშნავს სამი ან მეტი პირისგან შემდგარ სტრუქტურულ ჯგუფს, რომელიც შეთანხმებულად არსებობს გარკვეული დროის განმავლობაში, მიზნად ისახავს ჩაიდინოს ერთი ან მეტი სერიოზული დანაშაული, რათა პირდაპირ ან ირიბად მოიპოვოს ფინანსური ან მატერიალური სარგებელი;

სერიოზული დანაშაული ნიშნავს დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმცირეს 4 წლით ან უფრო სერიოზული სასჯელით;

სამართლდამცავი სამსახური ნიშნავს ნებისმიერ საჯარო ორგანოს, რომელსაც ეგალება გამოძიება და/ან სისხლის სამართლებრივი დევნა, მასზედ მინიჭებული სამართლებრივი უფლებამოსილების შესაბამისად.

II. საერთო პრევენციასთან დაკავშირებული პრინციპები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა არ დაუშვან ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სიკეთების სხვა საკუთრებაში კონვერსიის ფაქტის დამაღვა, მნიშვნელოვანი ოდენობის ფულის ხელზე გადახდის ან ხელზე ფულის გადაცვლის გზით.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა გამორიცხონ ფინანსური ცენტრებისა და ოფშორული საშუალებების გამოყენება ფულის გათეთრებისა და უკანონო ფინანსური ტრანსაქციების განსახორციელებლად. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაუშვან, *inter alia* იმ ფინანსური ტრანსაქციების ინსპექტორება, რომლებსაც არ გააჩნდათ ნათელი კომერციული მიზანი და მოთხოვონ პირდაპირ ან სხვაგვარად მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ მოთხოვნები დაუცველი პროფესიებისთვის, რათა მათ შეიცნონ მათი მომხმარებლები და წარადგინონ საეჭვო ტრანსაქციები, როდესაც ასეთი პროფესიონალები მოქმედებენ, როგორც ფინანსური შუამავლები მათი კლიენტების სახელით.
4. წევრმა სახელმწიფოებმა მათ კანონმდებლობაში უნდა წარმოაჩინონ ის დებულებები, რომლებიც გამოყენება ან შეიძლება იქნას გამოყენებული დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ საკუთარ ინტერესებში, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ექსპორტიმპორტი, ლიცენზირება, ფისკალური და საბაჟო წესები და მიიღონ ზომები, რათა შეაგსონ კანონმდებლობა და მოახდინონ უკანონო გამოყენების პრევენცია. განსაკუთრებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დებულებათა ურთიერთშეთავსება და ამ დებულებათა რეგულარული შემოწმება დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, რათა

შეფასდეს მათი შეუვალობა ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ, როგორიცაა მაგ. თაღლითობა.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიის მზარდ გამოყენებას ფინანსურ სექტორში, ისეთი როგორიცაა მაგ. გადახდის კიბერ მეთოდები ან ტრანსაქციები ვირტუალური ბანკების მეშვეობით, თან სდევს შესაბამისი უსაფრთხოების მახასიათებლები, რომლებიც ახდენენ პრევენციას ან ამცირებენ უკანონო გამოყენების შესაძლებლობებს.
6. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ მართვისა და ფინანსური დისციპლინის საერთო სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო ადმინისტრაციის გამჭვირვალობასა და ანგარიშვებას, და უნდა შეუწყონ ხელი ქცევის წესების კოდექსების მიღებას, რათა მოახდინონ ისეთი უკანონო პრაქტიკის პრევენცია, როგორიცაა კორუფცია კომერციულ და ფინანსურ სექტორებში, საჯარო შესყიდვების ჩათვლით.
7. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეუწყონ ხელი უკანონო პრაქტიკის მიმართ ნულოგან შეუწყნარებლობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სტანდარტები იმ პირთა დასაცავად, რომლებიც შესაბამის ორგანოებს აცნობებენ კორუფციის ან სხვა შესაძლო კრიმინალური ქმედების შესახებ, რაც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი სტრუქტურის შეგნით.

III. სისხლის სამართლებრივი დევნის სისტემასთან დაკავშირებული პრინციპები

8. წევრმა სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა სისხლის სამართლის დანაშაულიდად დაადგინონ ნებისმიერი პირის მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში, როგორც ეს ზემოთ იქნა დადგენილი, მიუხედავად იმისა, თუ ეგრობის საბჭოს რომელ წევრ სახელმწიფო არის ჯგუფი კონცენტრირებული ან ახორციელებს მის დანაშაულბრივ საქმიანობას.
9. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, როგორც დანაშაული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნებისმიერი სარგებლის გათეთრება და განსაკუთრებით, რომლებიც წარმოიშვებიან ორგანიზებული დანაშაულისგან.

10. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გახადონ დასჯადი, შესაბამისი სტრუქტურებისათვის იმ საეჭვო ფინანსური ტრანსაქციების შესახებ განზრახ არმოხსენება, რომლებიც ჩადენილია იმ საბანკო ან არასაბანკო ინსტიტუტებისა და პროფესიების მიერ, გიზეც ვრცელდება მოხსენების გაღდებულება.
11. წევრმა სახელმწიფოებმა, ძირითადი საკონსტიტუციო პრინციპების დაურღვევლად, უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი ზომები, რათა ბირებს ჩამოერთვას ის აქტივები, რომელზეც არის დადასტურებული ეჭვი, რომ წარმოშობილია ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით.
12. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იურიდიულმა პირებმა აგონ პასუხი იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია მათი სახელით და დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან.
13. წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიციონ თრგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საგადასახადო და ფისკალურ დანაშაულებს და უზრუნველყონ, რომ ისენი გამოძიებულ და დასჯილნი იქნებიან ეფექტურად.
14. წევრმა სახელმწიფოება უნდა დაადგინონ საგამოძიებო სტრატეგიები, რომლებიც გამიზნულ იქნებიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებს აქტივებზე ურთიერთდაკავშირებული ფინანსური გამოძიების გზით; როგორც ამ სტრატეგიის ნაწილი, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სწრაფი სამართლებრივი მექანიზმები, რათა მოხდეს საბანკო საიდუმლოების მოხსნა და მიიღონ დებულებები, რომელთა თანახმადაც ბანკირებს, ბუღალტრებს, ნოტარიუსებსა და იურისტებს შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით მოეთხოვოთ საფინანსო ჩანაწერებისა და განცხადებების წარმოდგენა და თუ აუცილებელია, მისცენ ჩვენებები, შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით.
15. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საკანონმდებლო ზომები ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით წარმოშობილი აქტივების აღმოჩენის, გაყინვის, ჩამორთმევისა და კონფისკაციის ან დეფოლტით დაკარგვისათვის.
16. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ კონფისკაციის ან აქტივების დეფოლტით დაკარგვის შესაძლებლობა ორგანიზებული დანაშაულის სარგებელთან დაკავშირებით, იმ სასამართლო პროცედურების მეშვეობით, რომლებიც შესაძლებელია იყოს დამოუკიდებელი სხვა საქმის წარმოებისაგან და როგორც გამონაკლისი, შეიძლება მოიცვას

აქტივების უკანონო წარმოშობასთან დაკავშირებით მტკიცებულების დადასტურების სასამართო განხილვა.

17. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოონ იმ მოწმეთა და მართლმსაჯულების დამხმარეთა ეფექტური, ფიზიკური და სხვა სახის დაცვა, რომლებიც საჭიროებენ ასეთ დაცვას, ვინაიდან მათ მისცეს ან დათანხმდნენ მისცენ ინფორმაცია დასახურის ჩვენება ან სხვა მტკიცებულება ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით. ასეგვა ასეთი დაცვითი ზომები უნდა იყოს ხელმისაწვდომი იმათთვისაც, ვინც მონაწილეობს ან დათანხმდა მონაწილეობაზე ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივ დეპარტამენტის, ისეგე როგორც დასაცავ პირთა ნათესავებისა და დამხმარეთათვის.
18. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოონ, როგორც სასამართლო პროცესის გამართვის ქვეყანაში, ასევე მის ფარგელის გარეთ მოწმეთა დაცვა სისხლის სამართლის პროცედურების დაწყებამდე, მსგლელობისას და მისი დასრულების შემდეგ.
19. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ კანონმდებლობა, რომელიც უშვებს ან აფართოებს იმ საგამოძიებო ზომების გამოყენებას, რაც ნებას რთავს სამართლდამცავ სამსახურებს, სისხლის სამართლებრივი გამოძიებისას შეაღწიონ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში, მათ შორის თვალთვალით, კომუნიკაციებში ჩართვით, დაფარული ობერაციებით, კონტროლირებადი მიწოდებით და აგენტთა გამოყენებით. ასეთი ტექნიკის იმპლემენტაციის დასაშვებად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოონ სამართლდამცავი სამსახურები აუცილებელი ტექნოლოგითა და შესაბამისი ტრენინგით.
20. წევრი სახელმწიფოები განავითარებენ პოლიციის საქმიანობის ახალ მეთოდებს, პოლიციის მუშაობის რეაქტიული მეთოდის პრო-აქტიური მეთოდით ჩანაცვლებით, მათ შორის სტრატეგიული დაზვერვისა და დანაშაულის ანალიზით.
21. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეისწავლონ სპეციალიზირებული მრავალდარგობრივი გუნდების შექმნის საკითხი, რათა გამოძიონ და განახორციელონ სისხლის სამართლებრივი დეპნა ეკონომიკური და ორგანიზებული დანაშაულებისა. სსეთი მრავალდარგობრივი საქმიანობა მოითხოვს კოორდინაციის, კომუნიკაციებისა და ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას სისხლის სამართლებრივი დეპნის სისტემასა და სხვა შესაბამის საჯარო სტრუქტურებს შორის.

IV. საერთაშორისო თანამშრომობასთან დაკავშირებული პრინციპები

22. წევრმა სახელმწიფოებმა, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ეკონომიკური საყრდენების გამოძიების ხელშეწყობის მიზნით, სამართლებრივი და ოპერატორული თვალსაზრისით უნდა დაუშვან ინფორმაციის გაცვლა მათ შესაბამის სტრუქტურებს შორის, იურიდიული პირებისა და მათ იურისდიქციაში შესული სხვა სამართლებრივი წარმონაქმნების, ისევე როგორც მათ შექმნაში, პატრონობაში, ხელმძღვანელობასა და დაფინანსებაში ჩართული ფიზიკური პირების თაობაზე.
23. წევრმა სახელმწიფოებმა მათ შიდა კანონმდებლობაში ან ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებში უნდა შემოიღონ დებულებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის აქტივებზე ინფორმაციის გაცვლას იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით წარმოშობილი აქტივების მოძიების, გაყინვის, ჩამორთმევის და კონფისკაციისა ან დეფოლტით დაკარგვის პროცესში.
24. წევრმა სახელმწიფოებმა, მოწმეთა დაცვის შიდა სქემებისპიროვნამები უნდა განავრცონ უხცოელ მოწმეებზე, მაგალითად, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებით, რომლებიც გათვალისწინებუნ ასეთ დახმარებას და დაადგენენ გამოსაყენებელ პირობებს.
25. წევრმა სახელმწიფოებმა სწრაფად უნდა მოახდინონ იმ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების რატიფიცირება და იმბლემენტაცია, რომლებიც მიზნად ისახავენ წევრ სახელმწიფოებს შორის საპოლიციო და სასამართლო თანამშრომლობის გაძლიერებას, მათ შორის ორმხრივი შეთანხმებებით და ეფექტური თანამშრომლობის ხელისშემსლელი პირობების აღმოფხვრით, მაგალითად:

მათთვის ძალაში შესულ კონგენციებზე გაკეთებული დათქმების მოხსნით;

უარის თქმაზე საფუძვლების და განსაკუთრებით ფისკალურ და პოლიტიკურ დანაშაულებთან დაკავშირებული საფუძვლების შემცირებით;

იმის უზრუნველყოფით, რომ მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს საპროცედურო მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე მოთხოვნის აღსრულებისას, რათა შესაძლებელი

გახდეს, სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოებაში მისი სახელით შეგროვებული მტკიცებულებების გამოყენების გაადგილება;

უცხოეთის ოპერატორულ სამსახურებთან კონტაქტების გაადგილების მიზნით, არსებულ ეროვნულ სტრუქტურებში ცენტრალური საკონტაქტო ორგანოების წარმოჩენით;

მოთხოვნის მიმღები სასამართლო ხელისუფლების სწრაფი იდენტიფიცირებისა და სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე მოთხოვნათა პირდაპირი გადაგზავნის უზრუნველსაყოფად გადაუდებელ შემთხვევებსა ან ინფორმაციის გაცვლისთვის, მათი შიდა სამართლებრივი სისტემების გათვალისწინებით, სასამართლო საკონტაქტო ორგანოების დანიშვნით არაცენტრალური ხელისუფლებიდან;

საერთო საბოლოიცით და სამართალდაცვითი ოპერაციების უცხოელ საკონტაქტო ოფიცირებთან და მოსამართლეებთან ჩატარების უზრუნველყოფითა და სხვა წევრ სახელმწიფოებში საკონტაქტო ოფიცირებისა და მოსამართლეების გრძელგადიანი მივლინების შესაძლებლობის შესწავლით;

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების ყველა მოთხოვნაზე შესაბამისი პასუხის გაცემის უზრუნველყოფით;

პირდაპირი და ხსეტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინფორმაციისა და ოპერატორული ინფორმაციის გაცვლის პირდაპირი ხაზებისა და მეთოდების ჩამოყალიბებით, პოლიციისა და სასამართლოების თანამშრომლობის უზრუნველყოფით.

V. მონაცემთა შეგროვებასთან, გამოკვლევასა და ტრეინინგთან დაკავშირებული პრინციპები.

26. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სისტემატიური ხასიათი აქვს კრიმინალური საქმიანობის, მათ ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზაციის, ფინანსური საყრდენისა და გეოგრაფიული ფაგრლების, ისევე როგორც შიდა თუ

უცხოურ ჯგუფებთან მათი კავშირების შესახებ მონაცემების შევრთვებასა და ანალიზს.

27. წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ გამოკვლევებს და იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ახორციელებენ გამოკვლევებს თრგანიზებული დანაშაულის შესახებ.

28. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აუცილებელი საშუალებები სამართალდამცავი სამსახურების მომზადებისთვის და სადაც აუცილებელია, სისხლის სამართლებრივი დეპნის სისტემის სწვა კომპონენტების ფინანსური გამოძიებისა და გამოძიების ახალი მეთოდების სფეროში.

დანართი: სისხლის სამართლის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ იმ სამართლებრივი ინსტრუმენტების სია, რომელთა რატიფიცირებაც უნდა მთაზღდინონ წევრმა სახელმწიფოებმა

ETS No.24 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია (1957);

ETS No. 86 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1975);

ETS No. 98 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი (1978);

ETS No. 30 სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენცია (1959);

ETS No. 99 სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1978);

ETS No. 73 სისხლის სამართლის საქმეებზე საქმის წარმოების გადაცემის შესახებ ევროპული კონვენცია (19720;

ETS. No. 90 ტერორიზმის აღკვეთის შესახებ ეგროპული კონვენცია (1977);

ETS No. 97 უცხოეთის კანონმდებლობაზე ეგროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1978);

ETS. No. 141 ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეგროპული კონვენცია (1990);

ETS No. 156 ნარკოტიკული საშუალებებისა დაფ ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ გაერთ-ს კონვენციის მე-17 მუხლის შემსრულებელი, ზღვით უკანონო ბრუნვის შესახებ შეთანხმება (1995);

ETS No. 172 გარემოს სისხლის სამართლის მეშვეობით დაცვის კონვენცია (1998);

ETS No. 173 კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია (1998);